საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო
საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ქ. თბილისი

7 თებერვალი 2018 წელი

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმგებლობაში არსებული სახელმწიფო საკუთრებაში დაწესებულების საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო და საკონკურსო კომისიების შექმნის შესახებ" საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 10 აგვისტოს №276 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N1

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-32) თბილისი-ველი-გაჩიანი-რუსთავის საავტომობილო გზის კმ 8+400, არსებული რკინიგზის გზაგამტარის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა

კომისიის თავმჯდომარე:

1. გიორგი სეთურიძე - დეპარტამენტის თავმჯდომარე

კომისიის წევრები:

2. წუგზარ გასვიანი - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე - ტექნიკური მდივანი
3. ალექსანდრე თევდორაძე - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
4. ლევან კუპატაშვილი - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
5. ლაშა ადეიშვილი - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
6. პაატა აბუთიძე - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
7. ნათია ლომაურიძე - დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)
8. სალომე წურწუმია - დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)
9. დავით კალაძე - დეპარტამენტის საავტომობილო გზების საინჟინრო ტექნიკური სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)
10. ავთანდილ გვაზავა - დეპარტამენტის სარეაბილიტაციო პროექტების მართვის სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)
11. კარლო ლეკვეიშვილი - დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

ნათია ცხოიძე - დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

ლევან როსტომაშვილი - დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე)

მსვლელობა: სატენდერო კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა **შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-32) თბილისი-ველი-გაჩიანი-რუსთავის საავტომობილო გზის კმ 8+400, არსებული რკინიგზის გზაგამტარის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე** ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი. ასევე, განხილულ იქნა დეპარტამენტის საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის წერილობითი ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის საკარაუდო ღირებულების შესახებ და ასევე, ტექნიკური დავალება.

კომისიის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ გარემოებებზე:

- შესყიდვის საშუალებად განისაზღვროს **ელექტრონული ტენდერი სამშენებლო სამუშაოებისთვის (DAP)**. ტენდერი გამოცხადდეს უახლოესი სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს **1 236 038** ლარი (დღგ-ს ჩათვლით), ხოლო სამუშაოების განხორციელების ვადად -ხელშეკრულების გაფორმებიდან - **7 თვე;**

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ტენდერის სავარაუდო ღირებულების, შესასრულებელი სამუშაოების სირთულისა და მოცულობის, მიწოდების ვადისა და ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით განისაზღვრა პრეტენდენტების გამოცდილების მიმართ ქვემოთჩამოთვლილი მოთხოვნები. ამასთან, ბაზრის კვლევისას გათვალისწინებული იქნა, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ უკვე განხორციელებული ანალოგიური შესყიდვების გამოცდილება, ასევე, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაცია. არსებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ ბაზარზე ოპერირებს მიმწოდებელთა საკმარისი რაოდენობა, რომელთაც, აქვთ შესაძლებლობა ტენდერში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში, დააკმაყოფილონ სატენდერო დოკუმენტაციით დაწესებული მოთხოვნები. პრეტენდენტებს გამოცდილების მიმართ მოთხოვნებია:

- პრეტენდენტს (ქვეკონტრაქტორთან ერთად ასეთის არსებობის შემთხვევაში) საანგარიშო პერიოდში, საქართველოს, ევროკავშირის (EU) ან OECD-ს წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე (OECD-ს შემთხვევაში ჩაითვლება ყველა წევრი ქვეყანა გარდა საკუთარი ქვეყნის ტერიტორიისა) ფაქტიურად შესრულებული ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების საშუალო წლიური მაჩვენებელი უნდა იყოს წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების წახევარი (50%) ან მეტი.
- საანგარიშო პერიოდი განისაზღვროს 01.01.2013-დან ტენდერის გამოცხადების თვის 1-ლ რიცხვამდე;
- ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებად დადგინდეს: **საავტომობილო ხიდების მშენებლობა; ან/და რეკონსტრუქცია; ან/და მოდერნიზაცია; ან/და რეაბილიტაცია.**
- საანგარიშო პერიოდში პრეტენდენტს ერთი ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები ღირებულებით არანაკლებ წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 50%-ის ოდენობისა.
- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა განისაზღვროს სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით, ხოლო სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში გარანტიის ოდენობა განისაზღვროს - 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

კომისიამ ასევე განიხილა სხვა მოთხოვნები ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიმართ, მათი გამოცდილების, ფინანსური შესაძლებლობების და სხვა კრიტერიუმების მიხედვით. დადგინდა სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, ასევე მოთხოვნები ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის და სხვა დამატებითი პირობებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია თანდართულ სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების პროექტში.

სატენდერო კომისია ერთხმად დაეთანხმა ზემოაღნიშნულ პირობებს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

<u>დაადგინეს:</u>

1. დამტკიცდეს **შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-32) თბილისი-ველი-გაჩიანი-რუსთავის საავტომობილო გზის კმ 8+400, არსებული რკინიგზის გზაგამტარის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის** მიზნით ჩასატარებელი ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი, სატენდერო კომისიის წევრების მიერ გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით და დანართი N1-ს შესაბამისად.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერი სამშენებლო სამუშაოებისთვის (DAP) გამოცხადება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემის მეშვეობით.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

გიორგი სეთურიძე _____

სატენდერო კომისიის წევრები:

ნუგზარ გასვიანი _____

ალექსანდრე თევდორაძე _____

ლევან კუპატაშვილი _____

ნათია ლომაურიძე _____

ავთანდილ გვაზავა _____

პაატა აბუთიძე _____

ლაშა ადეიშვილი _____

სალომე წურწუმია _____

დავით კალაძე _____

კარლო ლეკვეიშვილი _____

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

ნათია ცხოიძე _____

ლევან როსტომაშვილი _____

შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის დასახელება

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-32) თბილისი-ველი-გაჩიანი-რუსთავის საავტომობილო გზის კმ 8+400, არსებული რკინიგზის გზაგამტარის რეაბილიტაციის სამუშაოები

1.2 მიუთითეთ საქონლის ტექნიკური პარამეტრები/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

სამუშაოების აღწერა, პირობები, შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და მოცულობა მოცემულია: ტექნიკურ დავალებაში, ხელშეკრულების პროექტში, საპროექტო დოკუმენტაციასა და დანართი N4-ში.

1.3 ატვირთეთ ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

გთხოვთ იხილოთ **<u>დანართი N4 - ხარჯთაღრიცხვა</u>**

1.4 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

(1) სამუშაოების შესრულება იწარმოებს ხელშეკრულების გაფორმებიდან - **<u>7 თვეში.</u>**

(2) მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები აწარმოოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, მაქსიმალურად უწყვეტ რეჟიმში, ტექნოლოგიური მოთხოვნებიდან გამომდინარე, ყველა შესაძლო სამშენებლო მოედნის ორგანიზებით.

1.5 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

გთხოვთ იხილოთ **<u>ტექნიკური დავალება</u>**

1.6 მიუთითეთ შესასრულებელი სამუშაოს გონივრული საგარანტიო ვადა

შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს 2 (ორი) წელს სამუშაოს მიღებიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.

ტექნიკური მოთხოვნები

2.1 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის/მწარმოებელი კომპანიისა და მოდელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ?

არა

2.2 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ?

კი

2.2.1 მიუთითეთ პრეტენდენტის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

(1) პრეტენდენტს (ქვეკონტრაქტორთან ერთად ასეთის არსებობის შემთხვევაში) საანგარიშო პერიოდში, საქართველოს, ვეროკავშირის (EU) ან OECD-ს წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე (OECD-ს შემთხვევაში ჩაითვლება ყველა წევრი ქვეყანა გარდა საკუთარი ქვეყნის ტერიტორიისა) ფაქტიურად შესრულებული ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების საშუალო წლიური მაჩვენებელი უნდა იყოს წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების ნახევარი (50%) ან მეტი.

(2) საანგარიშო პერიოდი მოიცავს 01.01.2013-დან ტენდერის გამოცხადების თვის 1-ლ რიცხვამდე პერიოდს;

(3) ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებს მიეკუთვნება: **საავტომობილო ხიდების მშენებლობა; ან/და რეკონსტრუქცია; ან/და მოდერნიზაცია; ან/და რეაბილიტაცია.**

(4) OECD-ს (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) წევრი ქვეყნებია: ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, კანადა, ჩილე, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, ისრაელი, იტალია, იაპონია, კორეა, ლატვია, ლუქსემბურგი, მექსიკა, ნიდერლანდი, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვაკეთის რესპუბლიკა, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი, გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები.

(5) პრეტენდენტის „ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების საშუალო წლიური მაჩვენებელი - A საშ“ გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენების საშუალებით:

A საშ = (A1 + A2 + A3 + A4 + A5) / N x 12

სადაც:
A1 – 01.01.2013-დან 01.01.2014-მდე პერიოდში ანალოგიური ტიპის სამუშაოების ჯამური გამოცდილება (ლარი)
A2 – 01.01.2014-დან 01.01.2015-მდე პერიოდში ანალოგიური ტიპის სამუშაოების ჯამური გამოცდილება (ლარი)
A3 – 01.01.2015-დან 01.01.2016-მდე პერიოდში ანალოგიური ტიპის სამუშაოების ჯამური გამოცდილება (ლარი)
A4 – 01.01.2016-დან 01.01.2017-მდე პერიოდში ანალოგიური ტიპის სამუშაოების ჯამური გამოცდილება (ლარი)
A5 – 01.01.2017-დან ტენდერის გამოცხადების თვის 1-ლ რიცხვამდე პერიოდში ანალოგიური ტიპის სამუშაოების ჯამური გამოცდილება (ლარი)
N – თვეების რაოდენობა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის რეგისტრაციის თვიდან - ტენდერის გამოცხადების თვის 1-ლ რიცხვამდე პერიოდში. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი დაარსებულია 2013 წლამდე, მაშინ თვეების ათვლა დაიწყება 01.01.2013-დან.

(6) საანგარიშო პერიოდში პრეტენდენტს ერთი ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები ღირებულებით არანაკლებ წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 50%-ის ოდენობისა.

(7) პრეტენდენტის მიერ, საანგარიშო პერიოდში, ფაქტიურად შესრულებული ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N3-ის შესაბამისად.

(8) დანართი N3-ში მითითებულ ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებზე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

(8.1) სატენდერო დოკუმენტაციის დანართ N3-ში მითითებულ ანალოგიურ სამუშაოებზე, პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებების ასლები, შესაბამისი სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი (მაგ.ფორმაN2), ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა, ან/და სამუშაოების დასრულების/შესრულების სერტიფიკატები ან/და დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები). ამასთან:
ა) სატენდერო დოკუმენტაციის დანართ N3-ში მითითებულ სამუშაოებზე, რომლებიც შესრულებულია კერძო კომპანიების დაკვეთით, პრეტენდენტმა, დამატებით უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები;
ბ) სატენდერო დოკუმენტაციის დანართ N3-ში მოცემულ სამუშაოებზე, რომლებიც შესრულებულია ამხანაგობის ან ერთობლივი საწარმოს ფარგლებში, პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს ერთობლივი საწარმოს ან ამხანაგობის მონაწილეების უფლებამოსილი პირების მიერ დამოწმებული დოკუმენტი, სადაც მითითებული იქნება, თუ ფაქტიურად რა ღირებულების სამუშაოები შეასრულეს ამხანაგობის ან ერთობლივი საწარმოს მონაწილეებმა ცალ-ცალკე, აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში.

8.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების დადგენის მიზნით, პრეტენდენტს დამატებით მოსთხოვოს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N3-ში შეტანილ სამუშაოებზე, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტის - ფორმა N2-ის წარმოდგენა.

(9) იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმო ან მისი წარმომადგენლობა/ფილიალი საქართველოში, რომელიც იყენებს საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის მონაცემებს (სამუშაო გამოცდილება ან/და სხვა) ასეთ შემთხვევაში ფილიალი ვალდებულია ერთობლივად წარმოადგინოს, როგორც თავისი, ასევე საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის მონაცემები, კერძოდ:
9.1 სათაო კომპანიის ანალოგიური გამოცდილების გამოყენების შემთხვევაში, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სათაო ოფისის მიერ, სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1. მუხლით მოთხოვნილ სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებები და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია 2.2.1 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით.
9.2 იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმო ან მისი წარმომადგენლობა/ფილიალი საქართველოში, რომელიც იყენებს საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის მონაცემებს, სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1. მუხლით მოთხოვნილი ანალოგიური გამოცდილების დამადასტურებელი უცხო ენაზე გაფორმებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, უფლებამოსილია წარმოადგინოს ხელშეკრულებები შემოკლებული სახით ნოტარიულად ან/და აპოსტილით დამოწმებული ქართული თარგმანი, რომელიც უნდა

მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
(1) ხელშეკრულების დამდები მხარეები;
(2) ხელშეკრულების საგანი და ღირებულება;
(3) ხელშეკრულების გაფორმებისა და მოქმედების ვადები;
(4) მხარეთა ხელმოწერები.
9.3 სათაო კომპანიის მიერ გაცემული ნებისმიერი სახის ცნობა ან/და ინფორმაცია დამოწმებული უნდა იყოს სათაო კომპანიის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ (წარმოდგენილი უნდა იყოს ხელისმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).
9.4 სათაო კომპანიიდან ან/და უცხო ქვეყნიდან მოთხოვნილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლების წარმოდგენის შემთხვევაში, ისინი სათანადო წესით უნდა იყოს დამოწმებული საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიის შესაბამის ქვეყანაში, რომლითაც დადასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების ორიგინალთან (დედანთან) შესაბამისობა.

(10) პრეტენდენტი ვალდებულია, სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N3-ში ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება მიუთითოს ლარებში. ამასთან, უცხოურ ვალუტაში შესრულებული სამუშაოების შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს ლარებში, სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმების თარიღისთვის, შესაბამისი ვალუტის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

(11) იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი სატენდერო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად იყენებს ქვეკონტრაქტორის გამოცდილებას, მაშინ ქვეკონტრაქტორის „ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის გამოცდილების საშუალო წლიური მაჩვენებელი - A საშ“ გამოთვლა უნდა განხორციელდეს ზემოხსენებული ფორმულის გამოყენების საშუალებით, რის შემდეგაც დაუჯამდება პრეტენდენტის იმავე მაჩვენებელს. ამასთან, უშუალოდ პრეტენდენტი პირის (ქვეკონტრაქტორის გარეშე) ანალოგიური გამოცდილების საშუალო წლიური მაჩვენებელი უნდა შეადგენდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის სირთულის და შინაარსის სამუშაოების საერთო საშუალო წლიური მაჩვენებლის არანაკლებ 60%-ს.

2.3 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?
კი

2.3.1 მიუთითეთ პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებული მოთხოვნები
(1) მიმწოდებელმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შეასრულოს, მინიმუმ, პროექტით განსაზღვრული დასახელებისა და რაოდენობის მანქანა-მექანიზმებით.

(2) შემსყიდველი უფლებამოსილია, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს მიმწოდებლის მიერ, სატენდერო დოკუმენტაციის 2.3. მუხლის, 2.3.1. პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების კონტროლი.

2.4 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ?
არა

2.5 მოითხოვება თუ არა დეტალური ინფორმაცია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი)?
კი

2.5.1 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადებთან (გეგმა-გრაფიკი) დაკავშირებული მოთხოვნები
მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ფორმის (დანართი N5) შესაბამისად, სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის ზედამხედველთან შეთანხმება და შემსყიდველთან წარდგენა. აღნიშნული გეგმა-გრაფიკი დაერთვება ხელშეკრულებას დანართის გაფორმების გზით. შემსყიდველისთვის წარდგენილი გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული ვადები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაოს შესრულების ვადას.

2.6 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ (გარდა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემებისა)?
კი

2.6.1 მიუთითეთ პრეტენდენტის ფინანსურ შესაძლებლობებთან დაკავშირებული მოთხოვნები

(1) <u>ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ტენდერში მონაწილე საქართველოს რეზიდენტ კომპანიებზე:</u> იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი არის უცხოური საწარმო, ან მისი წარმომადგენელი /ფილიალი საქართველოში, რომელიც იყენებს საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის მონაცემებს (სამუშაო გამოცდილება, წლიური ბრუნვა, ძირითადი სპეციალისტები ან/და სხვა), ვალდებულია წარმოადგინოს ქვემოთ მოცემული მსოფლიო ტოპ ათეულში შემევალი აუდიტორული კომპანიების მიერ გაცემული აუდიტორული დასკვნა ბოლო სამი დასრულებული წლის (2014, 2015, 2016 წწ) შემოწმებული საბალანსო უწყისებისა ან/და დამკვეთისათვის მისაღები სხვა ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომლიც უნდა ასახავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობის მდგრადობის, საქმიანობის უწყვეტობის თაობაზე და მიუთითებდეს მის პერსპექტიულ გრძელვადიან რენტაბელურობაზე. აუდიტორული დასკვნა გაცემული უნდა იქნას მსოფლიო ტოპ ათეულში შემავალი ერთერთი აუდიტორული კომპანიის მიერ: Deloitte, PWC, E&Y, KPMG, BDO, RSM, Grant Thornton, Baker Tilly International, Crowe Horvath International და Nexia.

(2) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ინფორმაცია, მოცემულ ტენდერში "წინადადებების მიღება დაწყებულია" სტატუსის მინიჭების თარიღის მდგომარეობით გაფორმებული მიმდინარე კონტრაქტების ფარგლებში დარჩენილი სამუშაოების ღირებულების შესახებ, სატენდერო დოკუმენტაციის **დანართი N7-ის** შესაბამისად.

(3) სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N7-ში შეტანილი თითოეული პოზიციის მიხედვით (მიმდინარევალდებულება) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების ასლები და ამ სამუშაოების ფაქტიური შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი (მაგ.ფორმაN2), ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა, ან/და სამუშაოების დასრულების/შესრულების სერტიფიკატები ან/და დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები). ამასთან, სამუშაოებზე, რომლებიც შესრულებულია კერძო კომპანიების დაკვეთით, პრეტენდენტმა, დამატებით უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები.

(4) იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმოს წარმომადგენელი/ფილიალი საქართველოში, რომელიც იყენებს საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის მონაცემებს (სამუშაო გამოცდილება, საშუალო წლიური ბრუნვა ან/და სხვა), პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია როგორც წარმომადგენლობის/ფილიალის, ასევე სათაო კომპანიის მიმდინარე ხელშეკრულებების ფარგლებში დარჩენილი ვალდებულებების შესახებ, სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N7-ის შესაბამისად და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ: მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების ასლები და ამ სამუშაოების ფაქტიური შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი (მაგ.ფორმაN2), ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა, ან/და სამუშაოების დასრულების/შესრულების სერტიფიკატები ან/და დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები). ამასთან, ამ პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენისას, დაცული უნდა იქნას სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1 მუხლის მე-9 პუნქტის 9.2., 9.3. და 9.4. პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები დოკუმენტების წარმოდგენის ფორმასთან დაკავშირებით.
ამასთან, სათაო კომპანიის მიმდინარე ხელშეკრულებების ფარგლებში დარჩენილი ვალდებულებების ოდენობა დადასტურებული უნდა იყოს სათაო კომპანიის მიერ გაცემული ცნობით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს სათაო კომპანიის უფლებამოსილი პირის მიერ (წარმოდგენილი უნდა იყოს ხელისმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).

(5) პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს 01.01.2013-დან ტენდერის გამოცხადების თვის 1-ლ რიცხვამდე პერიოდში **საშუალო წლიური ბრუნვის** დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (რის მიხედვითაც, შემსყიდველი ორგანიზაცია გამოითვლის პრეტენდენტის „**საშუალო წლიური ბრუნვას - S საშ**" სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N8-ის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფორმულის და პირობების მიხედვით). პრეტენდენტის მიერ, **საშუალო წლიური ბრუნვის** დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ქვემოთ მოცემული სამი ვარიანტიდან ერთ-ერთი ან/და შერეული ფორმით:

ა). **ცნობა** - *<u>წლიური ბრუნვის (დღგ-ს გათვალისწინებით) შესახებ (01.01.2013-დან</u> ტენდერის გამოცხადების თვის 1-ლ რიცხვამდე პერიოდში), გაცემული შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან, რომელშიც მითითებული უნდა იყოს პრეტენდენტის წლიური ბრუნვა თითოეული წლისთვის ცალ-ცალკე.*

<u>ბ) აუდიტორული დასკვნა - წლიური ბრუნვის (დღგ-ს გათვალისწინებით) შესახებ, (01.01.2013- დან ტენდერის გამოცხადების თვის 1-ლ რიცხვამდე პერიოდში),</u> რომელშიც მითითებული უნდა იყოს პრეტენდენტის წლიური ბრუნვა თითოეული წლისთვის ცალ-ცალკე.

<u>გ) პრეტენდენტის მიერ 01.01.2013-დან ტენდერის გამოცხადების თვის 1-ლ რიცხვამდე პერიოდში, საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ყოველთვიური დღგ-ს დეკლარაციები.</u> პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მითითებულ პერიოდში წარდგენილი ყოველთვიური დღგ-ს დეკლარაციების ასლები.

(6) პრეტენდენტის მიერ, სატენდერო დოკუმენტაციის 2.6.1 მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების მოთხოვნათა მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, შემსყიდველი განახორციელებს, სატენდერო დოკუმენტაციის **დანართში N8-ის მეორე პუნქტში მოცემული პირობებისა და წესის მიხედვით, მითითებული ფორმულის გამოყენებით,** პრეტენდენტის **„მიმდინარე ზღვრული შესაძლებლობის - ∑“ გამოთვლას.** პრეტენდენტის „მიმდინარე ზღვრული შესაძლებლობა - ∑“ არ უნდა აღემატებოდეს პრეტენდენტის „საშუალო წლიურ ბრუნვას“ - Sსაშ.

2.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებით?

არა

2.8 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ?

კი

2.8.1 მიუთითეთ ქვეკონტრაქტორთან დაკავშირებული მოთხოვნები

(1) ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N6-ის შესაბამისად, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს როგორც პრეტენდენტის ხელმძღვანელის, ასევე ქვეკონტრაქტორი კომპანიის ხელმძღვანელის მიერ.

(2) იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი სატენდერო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად იყენებს ქვეკონტრაქტორის გამოცდილებას, მაშინ პრეტენდენტმა ცალკე უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ საანგარიშო პერიოდში შესრულებული ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების შესახებ სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N3-ით განსაზღვრული ფორმატის შესაბამისად. ქვეკონტრაქტორის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1. პუნქტის მე-8 , მე-9 და მე-10 ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

(3) ქვეკონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება პრეტენდენტის მონაცემებთან ერთობლიობაში, სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1. პუნქტის მე-11 ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

(4) ქვეკონტრაქტორი კომპანია არ უნდა იყოს რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში – „შავი სია“.

(5) იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმოს წარმომადგენელი/ფილიალი საქართველოში, რომელიც იყენებს საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის მონაცემებს (სამუშაო გამოცდილება, საშულო წლიური ბრუნვა, ძირითადი სპეციალისტები ან/და სხვა) ასეთ შემთხვევაში, პრეტენდენტს არა აქვს უფლება გამოიყენოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ტექნიკური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ქვეკონტრაქტორი კომპანია.

2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები

(1) პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ დაუშვებელია სატენდერო წინადადების ფასის ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითება, ასევე ხარჯთაღრიცხვის (განფასების) ან/და კალენდარული გეგმა-გრაფიკის სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის ველში ატვირთვა. ხარჯთაღრიცხვა (განფასებას) უნდა აიტვირთოს სისტემის სპეციალურად საამისოდ განკუთვნილ ველში. პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითებს სატენდერო წინადადების ფასს ან/და ატვირთავს ისეთ დოკუმენტებს, რომელიც შეიცავს სატენდერო წინადადების ფასს ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა

3.1 მოითხოვება თუ არა ნიმუშის ან/და ნიმუშის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა?

არა

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

4.1 მოითხოვება თუ არა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20 %-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა?

კი

4.1.1 მიუთითეთ, კონკრეტულად თუ რა დოკუმენტ(ებ)ით უნდა დაასაბუთოს პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა

(1) სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან შესაბამისს სფეროში სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე.
(2) პრეტენდენტმა აღნიშნული დასკვნის ღირებულება უნდა დაფაროს საკუთარი ხარჯებით და უნდა უზრუნველყოს მისი წარმოდგენა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.
(3) ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა უნდა დასტურდებოდეს, როგორც პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული წინადადების ფასთან (ხარჯთაღრიცხვის ჯამურ ღირებულებასთან), ასევე ხარჯთაღრიცხვის ერთეულებთან მიმართებით.
(4) ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტი შედგენილი და გაცემული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 სექტემბრის N439 დადენილებით დამტკიცებული "სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენის მეთოდის" მოთხოვნების შესაბამისად.

4.1.2 მიუთითეთ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა <u>მოთხოვნიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში</u>

სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი

5.1 მოითხოვება თუ არა პრეტენდენტის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი?

კი

შენიშვნა: პრეტენდენტმა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები უნდა წარადგინოს ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭების ეტაპზე, სატენდერო წინადადებასთან ერთად, სისტემის მეშვეობით.

5.1.2 მიუთითეთ იურიდიული პირისთვის წაყენებული მოთხოვნები

(1) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
(2) ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

5.1.3 მიუთითეთ ინდივიდუალური მეწარმისთვის წაყენებული მოთხოვნები

(1) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
(2) ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

5.1.4 მიუთითეთ ფიზიკური პირისთვის წაყენებული მოთხოვნები

(1) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
(2) ცნობა შესაბამისი ადმინისტრაციული დაწესებულებიდან მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის არარსებობის შესახებ.

5.1.5 მიუთითეთ ამხანაგობისთვის წაყენებული მოთხოვნები

<u>უშუალოდ ამხანაგობისთვის:</u>

(1) ამონაწერი გადამხდელთა რეესტრიდან;
(2) ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

<u>ამხანაგობის წევრებისთვის:</u>

(1) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან
(2) ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

შენიშვნა: სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები შემსყიდველ ორგანიზაციას წარედგინება, როგორც ამხანაგობის, ასევე მისი წევრების შესახებ.

5.1.6 მიუთითეთ არარეზიდენტი პირისთვის წაყენებული მოთხოვნები

(1) არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, პრეტენდენტმა, 5.1.2 პუნქტის (1) და (2) ქვეპუნქტების გარდა დამატებით უნდა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან გაცემული

ცნობა (ცნობები) რომ არ ხორციელდება არარეზიდენტი იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მას თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

(2) არარეზიდენტი ფიზიკური პირის შემთხვევაში 5.1.4 პუნქტის (1) და (2) ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტები (ცნობები) უნდა იყოს დამოწმებული კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მას თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

5.1.7 მიუთითეთ წარმომადგენლობისთვის/ფილიალისთვის წაყენებული მოთხოვნები

იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმოს წარმომადგენელი / ფილიალი საქართველოში, (რომელიც სატენდერო პირობების დასაკმაყოფილებლად იყენებს საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის სამუშაო გამოცდილებას ან/და სხვა), ვალდებულია ერთობლივად წარმოადგინოს, როგორც თავისი, ასევე სათაო კომპანიის 5.1.2 პუნქტის (1) და (2) ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტები. ასევე, დამატებით უნდა წარმოადგინოს სათაო კომპანიის ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან გაცემული ცნობა (ცნობები) რომ არ ხორციელდება სათაო კომპანიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მას თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

6.1 მიუთითეთ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა - (2 %-დან 5 %-ის ჩათვლით)

5%

6.2 მიუთითეთ სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში გარანტიის ოდენობა - (2 %-დან 10 %-ის ჩათვლით)

10%

6.3 მიუთითეთ გარანტიის მოქმედების ვადა

ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6.4 მიუთითეთ გარანტიის პირობები

(1) შესყიდვის ობიექტის სპეციფიკისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნა მოცემულ ტენდერში, აამაღლებს მიმწოდებლის პასუხისმგებლობას შემსყიდველის წინაშე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას, გამორიცხავს ან/და მინიმუმადე ამცირებს ისეთი სუბიექტური გარემოებების არსებობას, რომელიც შეიძლება გახდეს ხელშეკრულების პირობების სათანადოთ შესრულების ხელისშემშლელი ფაქტორი.
(2) გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული, დანართი N2-ში მოცემული პირობების შესაბამისად.

ანგარიშსწორების პირობები

7.1 გამოიყენება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორება?

კი

7.1.1 მიუთითეთ წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობა და პირობები

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა წინასწარი ანგარიშსწორების თანხის (შემდგომში - ავანსი) გადახდის თაობაზე.
2. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე, თუ იგი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არარსებობა.
3. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი მოთხოვნის წარდგენის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ დააკმაყოფილოს მიმწოდებლის თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულების ღირებულების 20% ან მეტი.
4. შემსყიდველის მიერ ავანსის გადახდასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გადასახდელი ავანსის დაქვითვამდე.
5 მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ს.
6 საავანსო ანგარიშსწორების გარანტიის გამოყენების/დაკავების პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების პროექტით.

7.2 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.
2. ანგარიშსწორების მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია, ყოველ თვე შემსყიდველს წარუდგინოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით) საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის მითითებით.
3. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველთვიურად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოებისა და საზედამხედველო ორგანიზაციის მიერ დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი), შემსყიდველის მიერ გადახდის სერთიფიკატისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4. მიმწოდებლის სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს შუალედური გადახდები მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად შემსყიდველისათვის წარდგენილი მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.
5. ანგარიშსწორება და მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებული სხვა პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების პროექტით.

7.3 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციაა ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე)

ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ხელშეკრულების პროექტი

8.1 ატვირთეთ ხელშეკრულების პროექტი

გთხოვთ იხილოთ: **ხელშეკრულების პროექტი**

საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

9.1 მიუთითეთ სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

ლევან ყანდაშვილი, 595517976, l.kandashvili@georoad.ge

დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – „სისტემა“) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული "ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.
2. ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში მონაწილე პირი უცხოეთის მოქალაქეა ან უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირია, აუცილებელია წარმოდგენილ იქნას პირის ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები. აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მას თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
3. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია ხელმოწერილი და/ან ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იქნას უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში, ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება). იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი, პრეტენდენტმა სისტემაში უნდა წარმოადგინოს ხელისმომწერი პირის ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა.
4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
5. პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.
6. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტებში პრეტენდენტის (ამხანაგობის შემთხვევაში, ასევე მისი რომელიმე წევრ(ებ)ის, ხოლო სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ასევე სათაო კომპანიის) მიმართ რეგისტრირებულია ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და პრეტენდენტი (ამხანაგობის შემთხვევაში, ასევე მისი რომელიმე წევრ(ებ)ი, ხოლო სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ასევე სათაო კომპანია) რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში ან/და აქვს აღიარებული დავალიანება ბიუჯეტის მიმართ, შემსყიდველი ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.
7. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით. პრეტენდენტი ვალდებულია ფასების ცხრილში (ხარჯთაღრიცხვა) მითითებული ერთეულისა და საერთო ფასები გამოსახოს და შესაბამისად გაინაგარიშოს ლარის მეასედის - თეთრების სიზუსტით (მძიმის შემდეგ ორი ციფრი).

8. სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან (დაზუსტების გარეშე):
8.1. თუ საერთოდ არ იქნება წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ, ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N3 და სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები).
8.2 თუ სისტემის სპეციალურად საამისოდ განკუთვნილ ველში არ იქნება წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის 1.3 პუნქტით გათვალისწინებული ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) ან ის წარმოდგენილი იქნება განუფასებლად.
8.3 თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებული იქნება სატენდერო წინადადების ფასი, ასევე თუ ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) სისტემაში აიტვირთა ტექნიკური დოკუმენტაციისათვის განკუთვნილ ველში.